



ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი

საქართველო, როგორც ღია მმართველობის პარტნიორობის წევრი ქვეყანა, ვალდებულია, 2014 წლის 31 მარტამდე შეიმუშავოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის პირველადი პროექტი და წარუდგინოს ღია მმართველობის პარტნიორობის სამდივნოს კომენტარებისთვის. დასრულებული სამოქმედო გეგმა ღია მმართველობის პარტნიორობას წარედგინება 2014 წლის 30 აპრილს.

პარტნიორობის რეგულაციების შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შემუშავება უნდა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერითა და ფართო საზოგადოებასთან მჭიდრო კონსულტაციების გზით, დადგენილი სახელმძღვანელო პრინციპებისა და პროცესის დაცვით. ამასთან, სახელმძღვანელო დოკუმენტებით გათვალისწინებულია ეროვნულ დონეზე კოორდინაციისა და მონიტორინგის მექანიზმის არსებობის აუცილებლობა.

ღია მმართველობის პარტნიორობის სახელმძღვანელო დოკუმენტების გათვალისწინებით, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ (სამდივნო) შეიმუშავა პროცესის გეგმა, რომელიც დეტალურად გაწერილია წინამდებარე დოკუმენტში.

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი

ღია მმართველობა საქართველოს საკონსულტაციო მექანიზმი - ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი (ფორუმი) შექმნილია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (საბჭო) ფარგლებში.

ფორუმის საქმიანობა განისაზღვრება ფორუმის სახელმძღვანელო წესებით. სამოქმედო გეგმის შემუშავების პერიოდში ფორუმი იკრიბება ყოველთვიურად. ფორუმი უზრუნველყოფს საჯარო კონსულტაციების დაგეგმვასა და ორგანიზებას სამდივნოსთან კოორდინაციით. ღია მმართველობის პარტნიორობისა და მის ფარგლებში საქართველოს როლის, მიმდინარე პროცესებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი ხვდება სტუდენტებს, აკადემიურ წრესა და სხვა დაინტერესებულ პირებს.

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მიერ განისაზღვრება საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობით დაინტერესებული სამიზნე ჯგუფები. შეხვედრების დროს საზოგადოებას წარედგინება სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია, მიღებული რეკომენდაციები კი, რომლის შეკრებასა და ანალიზზე პასუხისმგებელია სამდივნო, ეგზავნება გეგმით გათვალისწინებულ შესაბამის უწყებებსა და ქვეყნდება ვებ-გვერდზე.



სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის ეტაპები და ვადები

მიმართულება/აქტივობა	პასუხისმგებელი	ვადები							
		07.13-09.13	10.13-12-13	01.14	02.14	03.14	04.14	05.14	06.14
„ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ“ მთავრობის 2013 წლის 9 ივლისის №775 განკარგულების მიღება		09.07.13							
ღია მმართველობის პარტნიორობის პრიორიტეტული მიმართულებების მთავრობისთვის წარდგენა და მთავრობის მიერ დამტკიცება		წარდგენა 1.08.13 დამტკიცება 13.09.13							
მრგვალი მაგიდა: 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება და სამომავლო ხედვა	სამდივნო; მხარდამჭერები: USAID G3 IDFI		1.10.13						
მრგვალი მაგიდა: ღია მმართველობის პარტნიორობის 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა	სამდივნო; მხარდამჭერები: USAID G3 IDFI		26.12.13						

